საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №10/ნ

2021 წლის 17 თებერვალი

ქ. თბილისი

„სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის, განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით საჯარო დაწესებულებაში მონიტორინგის სისტემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №05/ნ ბრძანების შეჩერების თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და 24-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეჩერებულ იქნეს „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის, განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით საჯარო დაწესებულებაში მონიტორინგის სისტემის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №05/ნ ბრძანება (www.matsne.gov.ge, 30/01/2019, სარეგისტრაციო კოდი: 430090000.22.022.017629) 2022 წლის 1 სექტემბრამდე.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2020-2021 სასწავლო წლის დასაწყისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**